სახალხო განათლება+

● № 3 (4500) ● 29 ოქტომბერი ● 2014 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 80 თეთრი ●

უფალო, მოგვმადლე მე ნიჭი იმგვარად თქმისა, რომ არგოს ჩემს მსმენელს, ხოლო მას_ გულისყური, რომ უქმად არ დაშვრეს ენა ჩემი

დღეს ჩვენი გაზეთის 4500-ე ნომერი გამოვიდა!

ეფექტიანობის კონკურსები

მაღალ შედეგებზე ორიენტირებულნი

ᲢᲠᲐᲡᲘᲓᲐᲜ თეთრად მოჩანს. ამიტომ „თეთრი სკოლა“ შეარქვეს. სახელოვანი ადამიანების აღმზრდელია იგი. აქ გამოჩენილი პედაგოგები მოღვაწეობენ. თბილისის 141-ე საჯარო სკოლაზე ვსაუბრობთ. აგერ უკვე ორი წელია, აქ ახალგაზრდა, გამოცდილი დირექტორი **მარინე სამუშია** უნარიანად მართავს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, სკოლას ბევრი რამ შემატა, მოსწავლეებში, მშობლებში, პედაგოგებში უკვე მოიხვეჭა სახელი. ასე რომ არ ყოფილიყო, წელს დირექტორების ისეთი მაღალი კონკურსი იყო, პედკოლექტივი მას მხარს არ დაუჭერდა. მოკლედ, **მარინე სამუშიამ** სკოლას დაატყო საკუთარი ხელწერა. არც მიკვირს, რადგან მისი მშობლები სახელგანთქმული პედაგოგები იყვნენ და არიან. როგორც იტყვიან, გენებით გადმოეცა მას ამ დარგის სიყვარული.

ახლა პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ. სკოლა კარგად მოემზადა ახალი სასწავლო წლისთვის. მისი ინფრასტრუქტურა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. დირექტორს ეამაყება, რომ სკოლა იმ ას პილოტირებულთა შორის მოხვდა, რომელთაც მთავრობამ ჯანმრთელობის კაბინეტი კეთილმოუწყო. მოსწავლეთა ჯანსაღი ცხოვრების წესს ერთგულად გუშაგობს გამოცდილი ექიმი **გიული თეთრუაშვილი**. ასევე სკოლას კეთილმოწყობილი ბუფეტი ემსახურება.

წელს 3 პირველი კლასი გაიხსნა. ცეროდენები უფასო წიგნებითა და „ბუკებით“ დასაჩუქრდნენ. ასევე ორგანიზებულად დარიგდა სახელმძღვანელოები ყველა კალსში.

მარტო დირექტორი ვერაფერს გახდებოდა, რომ მას მხარში უნარიანად არ ედგნენ მოადგილე, გამობრძმედილი პედაგოგი **ირინე ასეიშვილი**, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **ქეთევან ჯობავა** და შემოქმედებითად მოღვაწე პედაგოგები.

ირინე ასეიშვილმა გაგვაცნო უნარიანად მოღვაწე საგნობრივი კათედრების წინამძღოლები: **მაია აბრამიშვილი** (დაწყებითის), **ანა უხურგუნაშვილი** (ენა-ლიტერატურა), **თეა ფილია** (უცხოური ენები), **ლელა არბოლიშვილი** (საზმეცნიერებები), **ნინო დემეტრაძე** (საბუნებისმეტყველო და მათემატიკა).

ყველა შრომა შედეგებით ფასდება და აი, შედეგები: 50-მა ახალგაზრდამ დაამთავრა შარშან 12 კლასი. მათი დიდი უმრავლესობა სტუდენტია, ხოლო ოლიმპიადაში, კონკურსებში, სამეცნიერო კონფერენციებში მიღებული დიპლომების ჩამოთვლას ამჯერად ვერ მოვახერხებთ.

სკოლაში ხალისიან, მჩქეფარე ცხოვრებას სულ მალე გვპირდება მოსწავლეთა თვითმმართველობა. მისი თავმჯდომარე გახლავთ X კლასელი **გიორგი ბულისკერია**. ამ ახალგაზრდებს კურირებს და აკვალიანებს ბიოლოგიის მასწავლებელი **მანია ბერიშვილი**. ჩაფიქრებული არის იმდენი საინტერესო ღონისძიება, რომ მისი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ერთი სიტყვით, მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლაში ახალგაზრდობის ხალისიან, მჩქეფარე ცხოვრებას გვპირდება, რასაც ჩვენ სხვა დროს ფართოდ გავაშუქებთ.

– სკოლის თვალი და ყური, დირექციის მარჯვენა ხელი, – ასეთი მაღალი შეფასება მისცა დირექტორმა მანდატურების საქმიანობას. მართლაც ასეა. მანდატურებმა უკვე მიაგნეს თავიანთ მოწოდებას. **თამარ ნიკურაძემ** და **ალეკო უხურგუნაშვილმა** დახვეწეს, სრულყვეს მუშაობის სტილი და მოსწავლეთა საიმედო მრჩევლები გახდნენ. ასე რომ, სკოლაში უზრუნველყოფილია უსაფრთხოება და დამყარებულია შეგნებული დისციპლინა.

ნათქვამია, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო. სკოლის შემოდგომა კი ივნისშია. გვჯერა, ნიჭიერი, შემოქმედი, ენერგიული დირექტორის **მარინე სამუშიას** ხელმძღვანელობით თბილისის 141-ე საჯარო სკოლის შრომისმოყვარე მასწავლებლები ძვირფას „წიწილებს“ (წარმატებებს) მაშინ ბლომად დაითვლიან.

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲮᲐᲠᲔᲑᲐᲕᲐ

პირველი მასწავლებელი

თითქოს **პირველად შედიოდაო გაკვეთილზე, ისე ღელავდა პირველკლასელების მიღებისას გამობრძმედილი მასწავლებელი ნელი მარღიშვილი. 22 წელია თბილისის 141-ე საჯარო სკოლაში პატარებს აფრთიანებს, დედაენისა და მამულის სიყვარულით ზრდის მათ თავად ამ სკოლაში დაფრთიანებული ჩინებული პედაგოგი.**

მშობლიურ სკოლაში პატარებთან ყოველი შეხვედრა სასიხარულო ემოციებს აღძრავს, შენს ბავშვობაში გაბრუნებს ხოლმე. და აი, მისი ბავშვები – მოჭიკჭიკე და მოალერსე 21 მერცხალი. მათ ხომ სწავლასთან ერთად მოფერებაც უნდათ, შემოქმედებითი ნიჭის აღმოჩენა და მისი განვითარება სჭირდებათ. არცერთ ამ პედაგოგიურ-დედობრივ მზრუნველობას არ აკლებს ცეროდენებს ნელი მასწავლებელი. ზედ დაჰფოფინებს და, როგორც სუხომლინსკი იტყოდა, გულს უძღვნის ბავშვებს.

გაივლის დრო, ხანი. ეს თვალხატულა გოგო-ბიჭები სახელოვანი მამულიშვილები დადგებიან და ნელი მასწავლებელსაც ასახელებენ.

ზრუნვა მასწავლებელზე

პედაგოგთა ხელფასი გაიზრდება

1 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲓᲐᲜ პედაგოგთა ხელფასის ზრდა იგეგმება. როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, **თამარ სანიკიძემ** საქართველოს პარლამენტში ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, პედაგოგთა სახელფასო ზრდა დაკავშირებულია ახალი სქემის ამოქმედებასთან. მისივე თქმით, სქემა ამოქმედდება კანონში ცვლილებების განხორციელებისთანავე, რის შემდეგადაც დაიწყება სქემის დანერგვა, 2015 წლიდან ეტაპობრივად მასწავლებლის სახელფასო პოლიტიკის მოწესრიგება, რაც 2016-2017 წლებშიც გაგრძელდება. ამასთან, მასწავლებელთა ხელფასები გარკვეული კატეგორიების მიხედვით დაიყოფა, ანუ რანჟირებული იქნება.

„ხელფასები იქნება რანჟირებული. გარკვეული მატება იქნება საბაზო ხელფასშიც, მაგრამ, ძირითადად, მატება განისაზღვრება რანჟირებულად კატეგორიების მიხედვით. ნოემბრის თვეში ზუსტად გვეცოდინება იმ დამატებითი რესურსის შესახებ, რომელიც მიემართება მასწავლებლის ხელფასში. როგორც კი დასრულდება კანონპროექტზე მსჯელობა და კანონში განისაზღვრება ცვლილებები, ჩვენ შევძლებთ ერთდროულად დავიწყოთ 2015 წელს სქემის ამოქმედება და განვახორციელოთ ის სახელფასო ცვლილებები, რომელსაც სქემის ფარგლებში ვგეგმავთ. ეს იქნება ნაწილობრივ საბაზო ხელფასის ზრდა, თუმცა ხელფასები ასევე გვინდა იყოს რანჟირებული, რათა გაიზარდოს მოტივაცია“, – განაცხადა **თამარ სანიკიძემ**.

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოსაწერად შეგიძლიათ მიმართოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს:
“საქპრესა” – გურამიშვილის გამზ. 64, ტელ.: (032) 2 518 518,
“მაცნე” – საირმის ქ. კორპ N 4, ტელ.: 2 14 74 22.

თბილისის 167-ე სკოლის იერ-სახე

ინფრასტრუქტურული ხიბლი

ახალი სასწავლო წლისთვის მზადყოფნაში ერთ-ერთი წამყვანი როლი ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ენიჭება. მომხიბლავი გარემო და იერ-სახე სასწავლო განწყობილებას და მოტივაციას აძლიერებს. დიდი ხანია ეს ჭეშმარიტება აღმოაჩინა დიდმა ქართველმა ფსიქოლოგმა დიმიტრი უზნაძემ.

სამი წლის წინათ 167-ე საჯარო სკოლას რომ ვეწვიეთ, როგორც იტყვიან, აქაურობა „რას ჰგავდა?“ დღეს კი – ავ თვალს არ დაენახვება. აქ ყველაფერი ელავს და ანათებს, გათბობა გინდა, კანალიზაცია, კაბინეტ-ლაბორატორიები, სასწავლო თვალსაჩინოება. კომპიუტერული კლასები სანიმუშო მდგომარეობაშია. სამი წლის მანძილზე სკოლის თავკაცმა **ლაშა კილაძემ** დიდი შრომა და სიყვარული ჩააქსოვა ამ საქმეში და გაიმარჯვა. პედაგოგები, მოსწავლეები, მათი მშობლები დიდ მადლიერებას გამოხატავენ ბატონი ლაშას მიმართ და ერთხმად ამბობენ: ისტორიული საქმე გააკეთა, თავისი მშობლიური სკოლა ასე რომ დაამშვენაო.

მკითხველმა ისე არ გამიგოს, თითქოს ამ სკოლის წარმატება მარტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება იყოს, აქ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ეფექტიანად და ნაყოფიერად მიმდინარეობს.

წელს სკოლას ახალი დირექტორი ჰყავს, გამობრძმედილი, ძლიერ კონკურსში გამარჯვებული **ელენე ფუტკარაძე**. დედაუნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტდამთავრებულს საგანმანათლებლო სივრცეში კარგად იცნობენ, როგორც ინიციატივიანს, შემოქმედს. დიდი ხანია იღვწის პედაგოგიურ ასპარეზზე. ქალბატონი ელენე მუდამ ჩინებული მასწავლებელი, დირექტორის მაოდგილე იყო, კარგა ხანს თბილისის 149-ე საჯარო სკოლას დირექტორობდა, შემდეგ – ასევე კარგა ხანს ამ სკოლაშიც დირექტორის მოადგილედ მუშაობდა და ერთგულებით, საქმის სიყვარულით ავტორიტეტი მოიხვეჭა.

– წელს 4 პირველი კლასი მივიღეთ, – ამბობს ქალბატონი ელენე, – ჩვენი სკოლა იმ 100 პილოტირებულთა შორისაა, ვისაც მთავრობამ კეთილმოწყობილი საექიმო კაბინეტი გაუხსნა. ასე რომ, ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა საიმედო ხელშია – გვყავს გამოცდილი და საქმისმოყვარე ექიმი **თეა წიკლაური**.

დირექტორს აქტიურად უდგანან მხარში სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, მშობელი, 107-ე ბაგა-ბაღის დირექტორი **ია ამინაშვილი** და, რაც მთავარია, მცოდნე, შემოქმედი მასწავლებლები.

19 პედაგოგი სერთიფიცირებულია. მენტორი მასწავლებლის მოწმობა აქვს ჩინებულ პედაგოგს, **ლამარა გერგედავას**, რომელიც სწავლების პარალელურად სამეცნიერო კუთხითაც იღვწის, სადოქტორო დისერტაცია თითქმის მზადა აქვს. ვუსურვოთ მას წარმატება ამ საქმეშიც!

სწავლებისა და აღზრდის მაღალ ხარისხს განსაზღვრავენ საგნობრივი კათედრები, რომელთაც უნარიანად ხელმძღვანელობენ: **ლამარა გერგედავა** (ქართული ენა და ლიტერატურა), **ლიანა მელაძე** (უცხოური ენები), **ნონა ბერიძე** (მათემატიკა), **ნონა ანთიძე** (საბუნებისმეტყველო), **დარეჯან გეგეშიძე** (საზმეცნიერებანი), **დალი ნასყიდაშვილი** (დაწყებითები).

სწავლა-აღზრდის პროცესში თვალისჩინია მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც საინტერესო, მჩქეფარე ახალგაზრდულ სასკოლო ცხოვრებას განსაზღვრავს. მას უნარიანად წარუძღვება ნიჭიერი მეთერთმეტეკლასელი **მარინე გიორხელიძე**.

მოსწავლეთა ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარების მიზნით ბევრი რამ კეთდება, აი, თუდნაც წარმატებით მოღვაწეობს ცეკვის წრე „ვორტექსი“ ცნობილი ქორეოგრაფის **ნინო დარახველიძის** ხელმძღვანელობით.

ამ მოკლე წერილში ყველაფერს ვერ ჩამოვთვლით. ჯერ ხომ საქმის დასაწყისია. სწავლა ახლახან დაიწყო. სასკოლო შემოდგომაზე (ივნისში) კი „შევჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ მისნი ძენი“. ეს უეჭველად ასე იქნება.

ბორის ევგენიძე

თბილისის 133-ე საჯარო სკოლაში

ასე იფურჩქნება პატარების ნიჭი-უნარი

ორიოდე წლის მოსულია ამ სკოლაში შემოქმედი დირექტორი **ლიანა ფუტკარაძე** და უკვე ყველაფერს დაეტყო მისი სასიკეთო ხელწერა. თავიდანვე მხარში ამოუდგნენ ახალ ხელმძღვანელს გამობრძმედილი პედაგოგები, ერუდირებული, მრავალნაცადი მოადგილე **ციცო ჭკუასელი**, ასევე, სხვა თანამშრომლები და შეხმატკბილებული მოღვაწეობით საქმე აეწყო: მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, უფრო საინტერესო და ეფექტიანი გახდა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. მანდატურების მონდომებით განმტკიცდა დისციპლინა, მიღწეულია სრული უსაფრთხოება და ა. შ. სკოლა ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ საჩვენებელ სკოლათა რიგებში ჩადგა.

შემთხვევით არ ყოფილა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყება მოსწავლეებს, პედაგოგებს, დირექციას პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა**, განათლების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ**, თბილისის მერმა **დავით ნარმანიამ** მიულოცეს.

ამ ოქტომბრის ერთ მშვენიერ დღეს სკოლას ვესტუმრე. მინდოდა, ზემოაღნიშნულ საკითხებზე დირექტორთან მესაუბრა, მაგრამ ისეთი ღონისძიება დამხვდა, ისეთი, რომ ჩემი გეგმა სხვა დროისთვის გადავდე.

წინასწარ ვიტყვი: სკოლაში მაღალ შედეგებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის გარდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლე ახალგაზრდობის ყოველმხრივ სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბებას.

ეს ყველაფერი პირველი კლასიდან იწყება, რადგანაც ბავშვობაში აღძრულ ინტერესებს, მიდრეკილებებს ვერაფერი შეედრება. მარჯვე ოსტატი შეამჩნევს ამ პირველყოფილ ნიჭს, უნარ-ჩვევებს და შემდგომ განავითარებს, და, „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის“.

ღია გაკვეთილს I[4] კლასში ვერცხლისწყალივით დაუდეგარი ახალგაზრდა დამრიგებელი **შორენა ჟვანია** ატარებდა პროექტის მიხედვით **„ჩვენ გვიყვარს ხელოვნება“**. ბარემ აქვე გაგაცნოთ იგი. შორენა აფხაზეთიდან დევნილი მასწავლებელია, სოხუმის უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტდამთავრებული (წითელ დიპლომზე). პედაგოგიური წრთობა მიღებული აქვს თბილისის 157-ე საჯარო სკოლაში. იმასაც ვიტყვით, რომ 133-ე სკოლას **შორენა ჟვანიას** სახით მეტად ჩინებული და პერსპექტიული პედაგოგი შეემატა.

ამას წინათ, ამავე პროექტის ფარგლებში შორენა მასწავლებელმა თავისი ცეროდენები ცნობილ მხატვარ-კარიკატურისტ **ზაალ სულაკაურს** შეახვედრა. იქაც დაეთმო პატარების ნიჭსა და უნარებს ფართო ასპარეზი.

ხოლო დღევანდელ ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ ხალხური სიმღერის ოსტატები: **მარიამ ელიეშვილი** და **დები გოგოჭურები**. მათ წინაშე პაწიებმა შეასრულეს ეროვნული ფესვებიდან ამოზრდილი ტკბილმშობლიური სიმღერები: **„დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს!“** მეგრული **„ასე ჩონგური“**, **„აყვავებულა არაგვზე დეკა“** და სხვა. შორენა მასწავლებელს ისე ოსტატურად მიჰყავდა ღონისძიება და ცეროდენებიც ისე ასრულებდნენ სიმღერებს, თითქოს პროფესიონალები არიანო. სტუმრებმა აღფრთოვანება ვერ დაფარეს და ღონისძიების დასასრულს თავად შეგვისრულეს 5 ხალხური სიმღერა.

ღონისძიებას მაღალი შეფასება მისცეს სკოლის დირექტორმა **ლიანა ფუტკარაძემ**, მისმა მოადგილემ **ციცო ჭკუასელმა** და სხვებმა. პატარების სიხარულს გაცისკროვნებული თვალებით უყურებდნენ მათი მშობლები.

მშობლები ამბობენ: ასეთი საინტერესო, ემოციური ღონისძიებები კარგია, რომ სკოლაში ტარდებაო. რადგან შორენა მასწავლებელზე ვსაუბრობთ, კიდევ ერთ მაგალითს მოვიტანთ. ყოველ ორშაბათს მასწავლებელი ატარებს კითხვის საათს. ამას წინათ განსხვავებული ფორმატით ჩატარდა იგი, მასწავლებლის ნაცვლად ზღაპრები ბებიებმა წაუკითხეს პაწიებს. ამან ყველაზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვებზე და დიდებზეც. საყვარელ ბებიებს დიპლომები გადაეცათ.

– კიდევ ბევრი ღონისძიება გვაქვს დაგეგმილი, – ამბობს **შორენა ჟვანია**, – გაკვეთილებთან ერთად სხვადასხვა პროექტის განხორციელება მეტად ეფექტიანი საშუალებაა ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული ბავშვების აღსაზრდელად.

ძნელია ამ აზრს არ დაეთანხმო.

ბორის კინდღელი

ლიცეუმის აღმასვლა

„თამარიონს“ მწვერვალებისკენ თვალი უჭირავს

ნინო განდელიძე

თექვსმეტი წელი არცთუ ისე ბევრია, მაგრამ არც იმდენად ცოტა, რომ არ ღირდეს უკან მოხედვა.

თექვსმეტი წლის წინათ გაიღო ჩემთვის ლიცეუმ „თამარიონის“ კარები, როგორც ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებლისთვის, და მხვდა წილად ბედნიერება

პედაგოგები

გავმხდარიყავი ამ დიდი პედაგოგიური ოჯახის წევრი. დღესაც ჩამესმის ლიცეუმის დირექტორის **გულნარა კვიციანის** დამაჯერებელი ხმა: „სექტემბრიდან თქვენ ჩვენს ლიცეუმში დაიწყებთ მუშაობას!“ – მან გამიღო ფართოდ არა მარტო სკოლის, არამედ გულის კარებიც. ამ წლიდან მოყოლებული დღემდე ვცდილობ ნდობის გამართლებას.

„მასწავლებელი მოსწავლის სულის კონსტრუქტორია, – ეს ჩვენი ლიცეუმის პედაგოგთა უსაყვარლესი გამონათქვამია. კარგად ვიცით მოსწავლეებთან დამყარებული ჰარმონიული ურთიერთობის ფასი: სასიამოვნო გარემო იქმნება, სასწავლო პროცესს უფრო მეტი ინტერესი და ხალისი ემატება. ლიცეუმის ხელმძღვანელობა ყოველმხრივ ხელს გვიწყობს ასეთი გარემოს შესაქმნელად. ქალბატონი **გულიკო კვიციანის**, **ინგა ამირანაშვილის** (ფინანსური დირექტორი), **ხ. კოვზირიძის** (სკოლის დამფუძნებელი), **თ. გურგენიძის** (სკოლის დამფუძნებელი), **ქ. ხაბულიანის** (“თამარიონის“ სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე) დაუღალავი შრომით, ყველა პედაგოგის ძალისხმევით ლიცეუმი „თამარიონი“ ერთ-ერთი უძლიერესი სკოლა გახდა მთელ თბილისში. ამას ადასტურებს მიღწეული წარმატებები.

ბედნიერებაა იყო მასწავლებელი ისეთი ნიჭიერი, წიგნიერი მოსწავლეების, როგორებიც სწავლობენ ჩვენს ლიცეუმში. ისინი გამორჩეულნი არიან ზრდილობით, შინაგანი კულტურით, ერუდიციით. ჩვენ მასწავლებლები მათი უფროსი მეგობრები ვართ, გვიყვარს ერთმანეთი, ვავსებთ ერთმანეთს.

რამდენ თაობას გაუვლია ჩვენს ხელში. მათი წარმატებით ხარობს ლიცეუმი, – ხარობენ მათი აღმზრდელი პედაგოგები.

ვიცი, რომ თითოეული თქვენგანი ჩემთან ერთად დიდი სიყვარულით მადლობას უხდით ყველა პედაგოგს, რომელთა ძალისხმევით თქვენ არნახულ წარმატებებს მიაღწიეთ. პირველ რიგში, მადლობა ჩვენი ლიცეუმის ხელმძღვანელებს – **გულიკო კვიციანსა** და **ი. ამირანაშვილს**, რომლებიც არაფერს იშურებდნენ იმისთვის, რომ საუკეთესონი ყოფილიყავით. მადლობა პედაგოგებს, რომლებმაც დიდი რუდუნებით მოგამზადეს საატესტატო ეროვნული გამოცდებისთვის. ეს მადლობა ეკუთვნით: **ქეთევან ხაბულიანს** (უნარების მასწავლებელი); **შორენა რეხვიაშვილს** (ინგლისური ენა), **ნინო განდელიძეს** (ქართული ენა-ლიტერატურა), **ნინო შველიძეს** (ისტორია), **ნინო მოლაშხიას** (ქიმია), **ნინო წამალაშვილს** (გეოგრაფიის მასწავლებელი); **მაია ძმანაშვილს, თამუნა ტურაშვილს** (ბიოლოგიის მასწავლებლები); **ნონა კაპანაძეს** (ფიზიკა), **ნანა გაბელაიას** (რუსული), **ნაირა ტვილდიანს, მარინე ჩერტყოშვილს, მაია ბარნაველს** (მათემატიკა). მათი წყალობით მივაღწიეთ მაღალ შედეგებს...

ამჯერად, ჩვენი ბუდიდან აფრენილ, ჩემს ყოფილ სადამრიგებლო XII კლასზე, მათ წარმატებებზე მოკლედ მინდა მოგიითხროთ.

2013-2014 სასწავლო წლის გამოშვებაზეა საუბარი. როგორ შემიძლია, დაგივიწყოთ, თქვენ ხომ ჩემი სულის განუყოფელი ნაწილები იყავით და ხართ, – **ჩემო ანი, ნინო, ლელა, მარი, მართა, სალი, ნინო, ბექა, შოთა, ლუკა, დათა, ლაზარე, სოფო, გივი, ნინო, ბექა, იგორ, გიორგი, ზაზა, თამარ, ანი, ნიკა, თამარ.** განვლილმა წლებმა ერთმანეთის გულებში ჩაგვახედა და გვაგრძნობინა, თუ რაოდენ ძვირფასები გავხდით ერთმანეთისათვის. თქვენ ჩემი ძალა იყავით, ჩემი დღეების მშვენება იყავით, – მე კი, – თქვენი სკოლაში გატარებული წლების მეგზური.

2013-2014 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთაგან დიდი უმრავლესობა სტუდენტი გახდა.

5 მოსწავლე – 100%-იანი გრანტით დაფინანსდა (**ლ. გიუნაშვილი; ს. ღუდუმიძე; ნ. ბახტაძე; ა. მჭედლიძე; შ. ბეგიაშვილი**);

1 მოსწავლე – 70% – **მართა გიუნაშვილი;**

10 მოსწავლე – 50% (**ბ. ბერაძე, მ. გიუნაშვილი, ნ. გრიგალაშვილი, ს. მაისურაძე; დ. მაჭარაძე; გ. ნეფარიძე; ნ. ტყებუჩავა; ა. ფუხაშვილი; ლ. ჯიღლაძე; თ. ჯოხაძე**).

ყველას გვიხარია თქვენი წარმატებები. ფრთები შესხმოდეს თქვენს ოცნებებს! – მწვერვალები დაგეპყროთ!

დღეს ჩემს ოთახს თქვენი ჯგუფური სურათი ამშვენებს... ჩემი პატარები (მეხუთე კლასელები) ხშირად მიმყავს თქვენს სურათთან და ვუყვები თქვენზე... მჯერა, რომ ლიცეუმი „თამარიონი“ ისევ დააფრთიანებს თქვენსავით საამაყო მომავალ თაობებს.

აი, როგორ გამოხატავენ მადლიერებას ჩემი სადამრიგებლო კლასის აღზრდილები:

ლაზარე გიუნაშვილი (თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტი): ადამიანის ცხოვრებაში არსებობს ისეთი რამ, რასაც ვერასდროს დაივიწყებს. ჩემთვის ასეთი „თამარიონია“. თქვენ ლამაზი ყრმობა მაჩუქეთ და მადლობას გიხდით! მთელი ცხოვრება მემახსოვრება ჩემი ისტორიის მასწავლებელი **თინიკო ოთიაშვილი**, რომელმაც ძლიერ პიროვნებად ჩამომაყალიბა. მთელი ცხოვრება ვიმეგო-

სამი ტყუპი გიუნაშვილი

ბრებ ნინო მასწავლებელთან, რომელიც უთქმელად კითხულობს ყველაფერს ჩემს თვალებში; მადლობა ქალბატონ **გულიკო კვიციანს** სიყვარულისათვის, მადლობა ყველას!

სალომე ღუდუმიძე (თავისუფალი უნივერსიტეტი): ლიცეუმ „თამარიონმა“ უდიდესი გავლენა იქონია ჩემს ჩამოყალიბებაზე, რაც **გ. კვიციანთან** ერთად ყვე-

დირექტორი გულნარა კვიციანი

ლა აქ მომუშავე ადამიანის დამსახურებაა. გარდა მიღებული ცოდნისა, ჩემთვის ძვირფასია ის ადამიანური ურთიერთობები, რაც თამარიონელებთან მაკავშირებს.

ანი მჭედლიძე (სამედიცინო უნივერსიტეტი): არც ერთ სკოლაში არ შემხვედრიან ისეთი სიყვარულითა და მეგობრობით, როგორც აქ, „თამარიონში“. რა მომცა თამარიონმა? პირველ რიგში – „უხილავი საუნჯე“, დამანახა რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის შეიძლება დამყარდეს მეტად თბილი და მეგობრული ურთიერთობა. „თამარიონი“არის ჩემი მეორე სახლი.

გივი ნეფარიძე (თსუ): „თამარიონში“ გატარებული 2 წელი ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ნაწილად იქცა. უამრავი ლამაზი დღე მაჩუქა „თამარიონმა“. ზოგჯერ მეჩვენება, თითქოს 1-ლი კლასიდან ამ სკოლაში ვსწავლობდი, ამ პედაგოგების გარემოცვაში... მასწავლებლები უახლოეს ადამიანებად მექცნენ. მადლობა ყველას! ყოველი ლამაზი დღისთვის.

ჩვენო კურსდამთავრებულნო თქვენი ცხოვრების ულამაზესმა ფურცლებმა გადაშლა დაიწყო... ნუ შეგეშინდებათ სიძნელეების, ნურც სიმარტივეები მოგადუნებთ... გახსოვდეთ: „თუ წუთისოფელს ერთ ბეწო ხანს თვალს მოუხუჭავთ,ისე გაგთელავთ, როგორც დიდოელი ნაბადს“.

ბოლოს, მინდა მაცხოვრის სიტყვები გაგახსენოთ: „ამით ცნან ყოველთა, რამეთუ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ, იყუარებოდეთ ურთიერთას“.

„თამარიონი“ თქვენი ცხოვრების გზას ლოცავს.

ნინო განდელიძე

კარლო სალუქვაძის ფოტო

ბოლო ზარი

„იზარდე, მწვანე ჯეჯილო,

როგორ ცხოვრობთ, 131-ე ბაგა-ბაღლებო!

სითბო და ალერსი – რამდენიც მინდა

ქეთევან ცხომელიძემ

დედაქალაქის 131-ე საბავშვო ბაგა-ბაღი მდებარეობს თბილისის ძველ უბანში, ჩუღურეთში. ბაღის შენობა საკმაოდ ძველია. აქ საბავშვო ბაგა-ბაღი ფუნქციონირებს 70 წელზე მეტია.

ამჟამად შენობა კაპიტალურად არის გარემონტებული და უსაფრთხოა ბავშვებისათვის. 6 ჯგუფია განთავსებული ორ სართულიან შენობაში. აქვს პატარა ლამაზი ეზო, კარგი გამწვანებით, სადაც სიამოვნებით თამაშობენ ბავშვები. ეზოს ყვავილებს აგერ უკვე 40 წელია უვლის **გოგუცა რამაზაშვილი.**

კედლებზე ბავშვების ნამუშევრების გამოფენაა განთავსებული, რომელიც პერიოდულად იცვლება და ნახატებს, ნაძერწი ცვლის.

გულნარა სალუქვაძე – მეთოდისტი გახლავთ და თვალყურს ადევნებს მათ შემოქმედებით საქმიანობას.

პედაგოგი **მედეა ქინქლაძე** ხალისიან ჰანგებით, საბავშვო სიმღერებით, ზეიმებს ხიბლს მატებს. ბავშვები სიამოვნებით სწავლობენ სხვადასხვა სიმღერებს და ცეკვებს.

ბაღს ხელმძღვანელობს ახალგაზრდა ენერგიული ქალბატონი **აქსანა ჯვარშეიშვილი,** მან ეხლახან შექმნა ლამაზი ოჯახი, შეეძინა ვაჟი. ვულოცავთ და ვუსურვებთ, რომ პატარა ნიკოლოზი სახელოვანი კაცი გაზრდილიყოს.

მეგზურობა ბაღში გაგვიწია **ქეთევან ცხომელიძემ**, რომელიც ამჟამად დირექტორის მოვალეობას ასრულებს, ის დიდი სითბოთი და პატივისცემით საუბრობს ბაღის თანამშრომლებზე. თავისი პედაგოგიური მოღვაწეობა მან დაიწყო საბავშვო ბაღში.

ქალბატონმა ქეთევანმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს 120-მდე განცხადება ვერ დაკმაყოფილდა საბავშვო ბაღში მიღებაზე, მისაღები ადგილების უქონლობის გამო.

გვყავს 2 ბაგის ასაკის ჯგუფი. **დალი რაჭველიშვილი** და **ეკა ქვაჩახია** უფროსი ასაკის ბაგის ჯგუფს ხელმძღვანელობენ, ხოლო **ლია ჯაფარიძე** და **ნინო მირგატია** უმცროს ჯგუფს.

მათ კარგად იციან, როგორ მიუდგნენ ატირებულ პატარებს, რომლებიც პირველად შორდებიან მშობლებს და უცხო გარემოში ხვდებიან,

კარგია, რომ საბავშვო ბაღი უფასოა, ბავშვები იკვებებიან ხარისხიანი, სერთიფიცირებული პროდუქტით. მთლიანად გამოიცვალა სურსათის შესანახ საწყობში ინვენტარი. მნე **მარინა ღუდუმიძე** და ექთანი **ირმა მაისურაძე** ზრუნავენ საკვები პროდუქტის ხარისხზე და კვებაზე.

სამზარეულოში ახალი ელექტროღუმელი დააყენეს, გამწოვი მექანიზმით. მზარეულები **თამარ მეტრეველი** და **ნონა გაგიევი** ბედნიერები არიან, როდესაც ბავშვები გემრიელად მიირთმევენ მათ ნახელავს.

უფროსი ჯგუფის აღსაზრდელები ემზადებიან სკოლაში წასასვლელად. პედაგოგები **თამილა სიგუა**, **მანანა მეცხვარიშვილი** და **თამარ გველესიანი** სითბოთი და სიყვარულით ცდილობენ ჩაუნერგონ ბავშვებს ის აუცილებელი ცოდნა, რაც მათ შემდგომში სკოლაში გამოადგებათ. მათემატიკის, ხელოვნების, ლიტერატურის მინი ცენტრები ყველა ჯგუფშია შექმნილი. იმართება საუბრები სამშობლოს სიყვარულზე, მეგობრობაზე, ქრისტიანობაზე და სხვა.

უმცროსი ასაკის ბავშვებს ქალბატონი **ნანა თორდია** და **ნინო ბაჯელიძე** უძღვებიან. ისინი ოჯახური სითბოთი და ყურადღებით, თითოეული ბავშვის ბუნების გათვალისწინებით მოქმედებენ. ამით სათანადო შედეგსაც აღწევენ. ბაგის ჯგუფების გარდა, ყველა ჯგუფში 40 ბავშვი ირიცხება. 4-5 წლიან ბავშვების ჯგუფს გამოცდილი პედაგოგი **მაია ტონია** და **თამარ სულაძე** ხელმძღვანელობენ. აქ არიან როგორც ძნელად, აღსაზრდელი, ასევე უაღრესად სათნო და დამჯერი ბავშვები. დერეფანში ხშირად აწყობენ ბავშვების ნამუშევრების გამოფენებს, ბავშვებიც სიყვარულით პასუხობენ მათ.

ქალბატონი ქეთევანი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი გვაჩვენოს და გვიამბოს ბაგა-ბაღის კოლექტივზე. აღნიშნა, რომ ყოველგვარ საქმეში მხარდაჭერა და ყურადღება აქვთ საბავშვო ბაგა-ბაღების სააგენტოდან. ბაღი მზად არის ზამთრის სეზონისთვის.

ქვეყანაში დიდებული საქმე გაკეთდა, ბაღები უფასოა. საუკეთესოდ მარაგდება სურსათით, სათამაშოებით, ინვენტარით და სხვა. მაგრამ ვისურვებდი, რომ საქართველოს არ ჰყავდეს სოციალურად დაუცველი აღსაზრდელები.

რომან მოსეშვილი

დაპურდი, გახდი ყანაო!“

ჩვენთან ხალისი მუდამ ზეიმობს

დღეს გვინდა მოგიყვეთ პატარების საინტერესო და სახალისო ცხოვრებაზე თბილისის 45-ე საბავშვო ბაგა-ბაღში. ეს სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება მდებარეობს ვარკეთილის დასახლებაში. აქ ადრეც ვყოფილვართ, მაგრამ დღევანდელი მიღწევები თვალსაჩინოა. ბავშვები, მათი მშობლები ძალიან კმაყოფილნი არიან და ერთხმად ამბობენ: ჩვენს ბაღში ხალისი და სიხარული მუდამ ზეიმობსო. აქ ფეთქავს მომავალი თაობის და საქართველოს პულსი. აქ იზრდება და ყალიბდება ხვალინდელი დღე ჩვენი სამშობლოსი.

ამ სათუთ დაწესებულებას რუდუნებით თავს დასტრიალებს საბავშვო ბაღის მთელი პედაგოგიური კოლექტივი **იზა კვანტიძის** ხელმძღვანელობით. რომელსაც დამთავრებული აქვს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი. აგრეთვე ფინანსები და კრედიტები. მუშაობდა ისნის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურის სახლში. ასევე – თბილისის გრიგოლ კობახიძის სახელობის მეხუთე გიმნაზიაში დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში და პარალელურად მათემატიკის მასწავლებლად, ხოლო 2007 წლიდან 45-ე საბავშვო ბაგა-ბაღში განაგრძობს თავის პედაგოგიურ მოღვაწეობას. მინდა ამასთან დაკავშირებით მოგიყვეთ იმ უპრეცედენტო შემთხვევაზე, როდესაც დირექტორობის კონკურსში გამარჯვებული ქალბატონი, რომელსაც ნიშნავდნენ თბილისის 139-ე საჯარო სკოლის დირექტორად, უარს ამბობს ამ თანამდებობაზე და უბრუნდება საბავშვო ბაღს იმ განწყობით, რომ უკეთ წარმართოს შემოქმედებითი საქმიანობა ახალგაზრდა გუნდთან ერად.

– ახალი ხელმძღვანელობის ძალიან გვეიმედება, – განაცხადა დირექტორმა – ბატონი **თემურ თორდინავა** აქტიურად გვეხმარება, მისი მზრუნველობით გარემოსილნი ვართ და მჯერა, ბევრ სიახლეს დავნერგავთ. დიდი მადლობა მას ასეთი ყურადღებისათვის.

ბაღში ფუნქციონირებს 11 სასწავლო ჯგუფი, სადაც დანაწილებულია 465 აღსაზრდელი, რომელთაც აქვთ ინდივიდუალური ფსიქოლოგიური პორტრეტი და

განვითარების პორტფოლიო. მათი აღზრდით კი დაკავებულია 56 თანამშრომელი, თითოეული ცდილობს შეეჯიბროს ერთმანეთს პატარების სიყვარულში. ბაღში ასევე ჰყავთ 8 უნარშეზღუდული ბავშვი.

აღმზრდელებთან ერთად ბაღში აქტიურ აღმზრდელობით საქმიანობას ეწევიან მულტიდისციპლინარული ჯგუფი, ლოგოპედი – **მაია შიხიაშვილი**, ფსიქოლოგი – **ლალი ნაზარაშვილი**, სპეცპედაგოგი – **ნათია კობახიძე**, სანიტარულ-ჰიგიენური ნაწილის კოორდინატორია **მარინე ბოკუჩავა.**

დირექტორის შემდეგ ბაღის კეთილმოწყობაში და საალმზრდელო პირობების შექმნაში უდიდესი წვლილი შეაქვს დირექტორის მოადგილეს – **იზა გრიგოლიას,** რომელიც სისტემატიურ კონტროლს უწევს ბაღის საგარეო საქმეებს. დოკუმენტების მოწესრიგებას, სასწავლო და კვებით მონიტორინგს.

მხარში უდგანან საქმის მწარმოებლებიც **ნესტან ზუკაკიშვილი** და **თამარ ფერიძე**, ხოლო სამეურნეო ნაწილს კოორდინაციას უწევს **მაია თათარაშვილი**.

საალმზრდელო პროცესში აქტიურადაა ჩართული მეთოდისტი **ცისანა მელქაძე**.

გასულ წელს ბაღმა საშუალო სკოლის პირველ კლასში გააცილა 130 პატარა. მათ საზეიმო ვითარებაში გზა დაულოცეს პედაგოგებმა: **მანანა ქველიძემ, ანა მესხორაძემ, ანა ჯანაშვილმა, ქეთინო მესხორაძემ, ნინო ფანქველაშვილმა, ლია ფოცხვერაშვილმა, მარინე ზიზიევამ, ლელა ნადირაძემ**.

ბაღში ტარდება საინტერესო ღონისძიებები, ეწყობა საგამოფენო კუთხეები ბავშვთა ნახატებისა. მეთოდური ხალიჩები აქვთ გამოფენილი, აქვთ შინაგანაწესი, რომელსაც ზედმიწევნით იცავენ.

დაინტერესებულ პირთათვის აქვთ დისკებში ჩაწერილი ღონისძიებები, რომლებიც კუთხეებში არის გამოტანილი. ბაღში დგას ყუთი, სადაც შეუძლიათ მშობლებს საჩივრების განთავსება ანონიმურად. ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა.

ახლა მინდა მოგიყვეთ საალმზრდელო ღონისძიებებზე. აქ ყველგან თოჯინები იცინიან. გვესალმება პირმღიმარე მზე. პედაგოგები ფილარმონიაში ატარებენ საშობაო ღონისძიებებს და ბავშვთა ფესტივალებს. ცეროდენები გამოდიან ტელევიზიით. სამი წელია ამიერკავკასიის ბავშვთა ფესტივალს ხსნიან ბათუმში, ატარებენ ინტელექტუალურ თამაშებს. „თბილისობასთან“ დაკავშირებით ემზადებიან სრული ჩართულობით. მინდა წარმოგიდგინოთ გამორჩეულად ნიჭიერ ბავშვთა მოკლე ჩამონათვალი, რომლებიც წარმოადგენენ ბაღის აქტივს მუსიკაში პედაგოგ **ნინო ჭკუასელის** ხელმძღვანელობით. აი, ისინიც: **ელენე ჭიჭიაშვილი, სალომე ბენდელიანი, თორნიკე გაფრინდაშვილი, მარიამ კეტიშვილი, მარიამ ბელქანია**. ცეკვაში – მასწავლებელ **ქეთევან ჩალაძის** ხელმძღვანელობით: **ცუცა ჯაიანი, ანა მანუკიანი**. ხატვაში – **ერეკლე კილასონია, თეკლე მალუტაშვილი, გურამ ალერდაშვილი, სოფიკო ჭელიძე, მარიამ ქსოვრელი, ელენე ნიაური**.

ბაგა-ბაღში მოწესრიგებულია კვების პროცესი. აქ ცეროდენებისთვის მზარეულები **მზია კევლიშვილი**, **თეონა ბროლიძე**, **შორენა ელანდაშვილი** გემრიელი საუზმით და სადილით უმასპინძლდებიან პატარებს. ბავშვთა კვების პროცესი ჰიგიენური ნორმების სრული დაცვით მიმდინარეობს.

ბაგა-ბაღში მოწესრიგებულია სხვა სანიტარულ-ჰიგიენური პირობებიც, კეთილმოწყობილია წყლის და კანალიზაციიას სისტემები, საბავშვო ბაღის ეზო, სადაც დამონტაჟებულია გასართობი საქანელები და სათამაშოები.

ასე რომ, თბილისის 45-ე საბავშვო ბაგა-ბაღში ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ მომავალი თაობის სწორი და უსაფრთხო აღზრდა-განათლება განხორციელდეს. ბედნიერია თქვენი ბავშვობა, ცეროდენებო! გაიხარეთ, ასახელეთ სამშობლო და თქვენი აღმზრდელები!

მარინე მირცხულავა

სალამი, 45-ე ბაგა-ბაღელებო!

დირექტორი
იზა კვანტიძე

მათი წიგნები გზას გვინათებს

მიხეილ რუხაია

ნინა კუცია

დიდი შოთა იტყოდა: „არდავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა“, ხოლო ჩვენი გაზეთის ფურცლები ხშირად უყვებიან მკითხველს მათი გამოცდილების ფესვებზე აყვავებულ ქართულ სულზე. დღეს გვინდა მოგითხროთ რუხაიების დიდ პედაგოგიურ ოჯახზე.

ოჯახის მეთაური აფხაზეთიდან დევნილი, **მიხეილ რუხაია**, რამდენიმე წლის წინათ თბილისის მიწამ მიიბარა. მან თავისი ცხოვრების მთელი შეგნებული ნაწილი მიუძღვნა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მეუღლეც, ქალბატონი **ნინა კუცია** პედაგოგი გახლდათ. მათთვის ხელშეუხებელი და ძვირფასი იყო მასწავლებლის პროფესია. სულით ხორცამდე იყვნენ პედაგოგები და თავიანთი ცხოვრებაც ამ საქმიანობას შეალიეს. სწორედ ასეთი წიაღიდან მოდიან მათი შვილები, თავადაც გახდნენ პედაგოგები და უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს ამ ასპარეზზე: **ხიმურ რუხაია, ლუიზა რუხაია, ლიანა რუხაია**.

უფროსმა შვილმა **ლუიზა რუხაიამ** 1963 წელს დაამთავრა სოხუმის სამედიცინო სასწავლებელი. 1963-1979 წლებში მუშაობდა სოხუმის პირველ საავადმყოფოში ექთნად. 1979-1987 წლებში სწავლობდა სოხუმის უნივერსიტეტის დაუსწრებელ ფაკულტეტზე გეოგრაფიის სპეციალობით. პარალელურად მუშაობდა ამავე უნივერსიტეტში ექთნად. 1979-1992 წლებში დევნილობაში კი თბილისის სეფსისის ცენტრში ექთანი იყო. ლუიზას მეუღლე – **გენადი გვიშიანი** ასევე პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. მან 1976 წელს დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტი. იმავე წელს დაიწყო მუშაობა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალი კინდღის სკოლაში, ასწავლიდა რამდენიმე საგანს. 1976-1993 წლებში მუშაობდა სოხუმის უნივერსიტეტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1995-2007 წლებში იყო აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს მთავარი სახელმწიფო მრჩეველი დევნილთა საკითხებზე, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში. მათ შეეძინათ 2 შვილი: **მამუკა** და **მარინე გვიშიანები**. **მარინე გვიშიანმა** 1994 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და ამჟამად მუშაობს თბილისის მე-13 პოლიკლინიკაში. ჰყავს ორი შვილი **ბაჩანა ჩხეიძე** – მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტია, ხოლო **თამარ ჩხეიძე** – საშუალო სკოლის მოსწავლე.

ნინო რუხაია

მამუკა გვიშიანმა 1992 წელს დაამთავრა თსუ მათემატიკის სპეციალობით, ხოლო შემდეგ 1999 წელს – სოხუმის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი, ამჟამად მუშაობს სამედიცინო კლინიკის მენეჯერად.

ლიანა რუხაიამ 1971 წელს დაამთავრა თსუ ქიმიის ფაკულტეტი. წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, ქიმიის ლაბორატორიაში.

ხიმურ რუხაია მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორია. 1963 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და ჩაირიცხა დედაუნივერსიტეტში. 1968 წლიდან მუშაობს თსუ-ში. ამჟამად გახლავთ გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების ლაბორატორიის გამგე, ხოლო ასოცირებული პროფესორია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. წლების განმავლობაში ილია ვეკუას სახელობის მათემატიკურ სკოლაში შეთავსებით ატარებდა მათემატიკური ლოგიკის გაკვეთილებს.

პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, იგი ეწევა აქტიურ სამეცნიერო მუშაობას. გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი ნაშრომი. მისი ხელმძღვანელობით დაცულ იქნა 7 საკანდიდატო დისერტაცია, მათ შორის 5 პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის ხარისხზე.

ასევე მისი მონაწილეობით ყოველწლიურად მუშაობს სტუდენტთა საერთაშორისო სკოლა, რომლის ფარგლებშიც უცხოელები ატარებენ ქართველი სტუდენტებისთვის ძალზე საინტერესო ლექციებს. დაგეგმილი აქვთ გასვლითი ტურები, ანუ ატარებენ ექსკურსიებს. გამოჩენილი სტუდენტები იღებენ სტიპენდიებს.

ბატონი ხიმურის მონდომება და შრომა ფასდაუდებელია თავისი სტუდენტების წინაშე. მისი კურსდამთავრებულები აღწევენ ძალიან დიდ წარმატებებს. დაგისახელებთ რამდენიმე მათგანს, რომლებიც თბილისის სოხუმის უნივერსიტეტში მოღვაწეობენ. ესენია: **ციალა ძიძიგური, მზია ფაცაცია, თემურ ორმოცაძე, მზია ტალახაძე,** ასევე, სოხუმის უნივერსიტეტში მოწვევით მუშაობს **ნანა ფიფია.**

ბატონი ხიმურის აღზრდა-განათლების საქმეში დიდი წვლილი აქვს შეტანილი მის გამორჩეულ პედაგოგს, პროფესორ **შალვა ფხაკაძეს**.

შალვა ფხაკაძე იყო პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1919-1994).

ხიმურ რუხაია დაქორწინდა **ქრისტინე ჯმუხაძეზე**, რომელიც ასევე მათემატიკოსი გახლავთ. მათ შეეძინათ ოთხი შვილი.

ნინო რუხაია – მოსემღვდლიშვილი – ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, დოქტორანტი. 2010 წლიდან ეწევა პედაგოგიურ მუშაობას, როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო უნივერსიტეტებში. 2014 წლიდან კითხულობს ლექციებს დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში. ამჟამად ამავე უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორია.

გენადი გვიშიანი და ლუიზა რუხაია

მიხეილ რუხაია (უმცროსი) – კომპიუტერულ მეცნიერებათა დოქტორია. 2007 წელს დაამთავრა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის მიმართულების ბაკალავრიატი. იმავე წელს მიიღო ევროკომისიის გრანტი „ერასმუს-მუნლაესის“ პროგრამით მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად და მაგისტრატურის პირველი კურსი გაიარა ლისაბონის უნივერსიტეტში. მეორე კურსი კი ვენის უნივერსიტეტში. რის შემდეგაც, შესთავაზეს ავსტრია-საფრანგეთის ერთობლივ სამეცნიერო პროექტში მონაწილეობა. ამ პროექტის პარალელურად აქვე, ვენის უნივერსიტეტში დაამთავრა დოქტორანტურა. 2012 წელს, წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიიღო დოქტორის ხარისხი. 2013 წლის თებერვლიდან მიიწვიეს დოქტორანტურის შემდგომ სამეცნიერო პროგრამაში პარიზის უნივერსიტეტში. მიხეილს გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფია, რამდენიმე სტატია. 2014 წლის იანვრიდან კითხულობს ლექციებს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში.

რუხაიების პედაგოგიური დინასტია

ხიმურ რუხაია

გიორგი რუხაია მაგისტრანტია, 2010 წელს დაამთავრა სკოლა და ჩაირიცხა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის მიმართულებაზე. ბაკალავრიატში, 100%-იანი გრანტით იყო პრეზიდენტის სტიპენდიანტი.

ვახტანგ რუხაია ჯერ სკოლის მოსწავლეა.

რუხაიების პედაგოგიური დინასტია გრძელდება და ფრთებს უფრო მძლავრად შლის.

ნანა ფიფია

უცხოური ენების კათედრა – სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობის ერთ-ერთი დასაყრდენი სტრუქტურა

უცხოური ენების კათედრა აერთიანებს ინგლისურს, ფრანგულსა და რუსული ენების თერთმეტ მასწავლებელს, რომელთა უმრავლესობამ წარმატებით ჩააბარა სასერთიფიკაციო გამოცდები. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ კათედრაზე მოღვაწეობენ წარმატებული მასწავლებლები. აღნიშვნის ღირსია **ნონა ბეროშვილი**, რომელიც სკოლაში ერთადერთი ათასლარიანი პედაგოგია; **თინათინ კაპანაძე**, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ინგლისურისა და კომპიუტერის ინტეგრირებული გამოცდა; **თამარ მარდიშვილი,** რომელმაც ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები განათლების ადმინისტრირების სპეციალობით, **ლალი ლომიძე**, რომელმაც გაიმარჯვა პესტალოცის ევროპულ კონკურსში ნორვეგიაში – „საგანმანათლებლო გამოწვევები წარსულთან და აწმყოსთან მიმართებაში“, **ნანა მორჩაძე** – ინგლისური ენის გამოცდილი პედაგოგი, რომელიც შექსპირის ენას აზიარებს დაწყებითი კლასების მოსწავლეებს; **სოფიკო ვარდაშვილი** ახალგაზრდა სერთიფიცირებული პედაგოგი; აღნიშვნის ღირსნი არიან **დარეჯან ოსიტაშვილი და სოფიო ჩიქოვანი**.

კათედრის აქტივში შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ ორი წევრი **ლალი ლომიძე** და **ნონა ბეროშვილი** მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამის ფარგლებში რამდენჯერმე იყვნენ მენტორების როლში. **ნონა ბეროშვილმა** 2014 წლის ზაფხულში ორკვირიანი ტრენინგი გაიარა საფრანგეთში, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულმა. ამდენად, უცხო ენების კათედრა ჩვენს სკოლაში ერთ-ერთი წარმატებული კათედრაა, რომლის წევრებიც მუდმივად ზრუნავენ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე.

ჩვენი კათედრის ღირსებად მიგვაჩნია ისიც, რომ კათედრის წევრები კოორდინირებულად ვმუშაობთ და საგაკვეთილო პროცესში აქტიურად ვნერგავთ სწავლების თანამედროვე სტრატეგიებსა და აქტივობებს. ჩვენ ხშირად ვესწრებით ერთმანეთის გაკვეთილებს გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით. ჩვენი კათედრის წევრები მუდმივად ესწრებიან მიზნობრივ ტრენინგებს, მათ შორის საერთაშორისო მასშტაბებითაც. ეს კი მოგეხსენებათ, პროფესიონალიზმის დახვეწის კარგი საშუალებაა. ტრენინგებზე მიღებულ ცოდნასა და უნარებს ვუზიარებთ ერთმანეთს, ვეხმარებით ახალი აქტივობების იმპრენტაციაში.

ინგლისურის შემდეგ, როგორც ცნობილია, მეორე უცხო ენის სტატუსი მიენიჭა ფრანგულსა და რუსულ ენებს.

ჩვენ პოზიტიურად მიგვაჩნია, რომ ამ ენის შესწავლა ნაცვლად VII კლასისა სადღეისოდ V კლასიდან იწყება. მიუხედავად იმისა, რომ გასაგები (და ზოგჯერ გაუგებარი) მიზეზებით რუსული ენის მიმართ ზოგადად არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა, ჩვენს კათედრაზე ეს საკითხი კარგად არის მოგვარებული. სკოლის სწორი მენეჯმენტის მეშვეობით გვყავს რუსული ენის მაღალკვალიფიცირებული პედაგოგები **მარინა ფირყულაშვილი, ნანა ბიძინაშვილი და ნონა მეგრელიძე**, რომლებმაც მოსწავლეებს შეაყვარეს რუსული ენა და კულტურა. მათ რამოდენიმე საინტერესო პროექტი განახორციელეს. ერმიტაჟის, ვლადიმერ ვისოცკის, ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობების შესახებ. საერთოდ უცხო ენების კათედრაზე კულტურათა დიალოგი განიხილება, როგორც უმნიშვნელოვანესი სეგმენტი უცხო ენების სწავლების პროცესში.

ჩვენს უახლოეს გეგმებში შედის სკოლაში ინტერკლასების ჩამოყალიბება, სადაც მოსწავლეები შეძლებენ უცხო ენის დახვეწას, საინტერესო გრძელვადიანი პროექტების განხორციელებას. ასეთი იქნება „მოდის ენციკლოპედია“, რომელზეც უკვე დაწყებულია მუშაობა. პროექტში ჩართული იქნება სხვა დისციპლინები, გამჭოლი კომპეტენციები, პროექტის პრეზენტაციას დავუკავშირებთ დედის და ქალთა საერთაშორისო დღეებს.

თანამედროვე სამყაროში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება უცხო ენების ცოდნას. რაც არ უნდა კარგად ფლობდეს მოსწავლე ნებისმიერ საგანს, მისი ცოდნა ლოკალურ მასშტაბებს ვერ გასცდება უცხო ენების ცოდნის გარეშე, ამიტომ ჩვენი მასწავლებლებიც, ჩვენი სკოლის დირექტორის **მადონა მუმლაძის**, მისი მოადგილეების **ჟანა ჩიმჩიურის** და დალილა ზუხბაიას ხელმძღვანელობით ვსწავლობთ, პროფესიულად ვიზრდებით, ვიხვეწებით, რათა უკეთესად ვასწავლოთ. ჩვენი ვექტორი მიმართულია გლობალურად ინტეგრირებული თაობის აღზრდისკენ იმ თაობისა, რომელიც შეძლებს თავისუფალ კომუნიკაციას და ადაპტირებას დღევანდელ მსოფლიოში.

ლალი ლომიძე,
მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის 124-ე საჯარო სკოლის უცხოური ენების კათედრის ხელმძღვანელი

ინიციატივა, რომელიც დროის მოთხოვნას რეალობად აქცევს

აქტუალური თემა

სახელმწიფოს, კერძოდ განათლების სამინისტროს წინაშე ორი აუცილებლად გადასაჭრელი საკითხი დგას. პირველი – სკოლის ატესტატით კურსდამთავრებულთა უმაღლესში ჩარიცხვა და მეორე – განაკვეთის 18 საათიდან 15 საათამდე დაყვანა. ამ ორი უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაჭრა, მორალურ-მატერიალურთან ერთად, უზარმაზარ ფინანსურ ეკონომიას მისცემს მშობელსა და სახელმწიფოს. მოსახლეობის გაღატაკების პოლიტიკაში კოლოსალური წილი მშობლების მიერ შვილების კერძოდ მომზადებაზე დახარჯულ სახსრებსაც მიუძღვის.

იმის გამო, რომ ბავშვები სკოლის ცოდნით ვერ ეწყობიან უმაღლეს სასწავლებლებში, მშობლებს მათი ოთხ საგანში მომზადება და შემდეგ უმაღლესში სწავლის ქირის გადახდა უკიდურესად ძვირი უჯდებათ. ამას ემატება ისიც, რომ სწავლის ქირის გადაუხდელობის გამო, ან უმაღლეს სასწავლებელს ანებებს თავს, ან მშობელი იძულებულია აიღოს კრედიტი, გაყიდოს უძრავი ქონება – მიწა, სახლი და ჩადგეს გაღატაკებულთა რიგში.

ერთი სიტყვით, სკოლამ ფუნქცია უნდა დაიბრუნოს. მოზარდი სკოლის ცოდნითა და ატესტატით უმაღლეს სასწავლებელში უნდა ჩაირიცხოს. ამით სამივე სუბიექტი – მშობელი, სახელმწიფო და პედაგოგი – დარჩება მოგებული. სახელმწიფო, მშობელთან ერთად, კოლოსალურ ფინანსურ-მატერიალურ დანაზოგს მიიღებს – პირველ რიგში დროის, შენობების, ინვენტარის, გამომცდელების, გამსწორებლების, კურიერების, ტექნიკური მუშაკების, ელექტროენერგიის, ტრანსპორტისა და სხვა გასაწევი ხარჯების სახით, ხოლო პედაგოგი – მორალურ კომპენსაციას. გარდა ამისა, ამაღლდება სკოლის ავტორიტეტიც. ჩვენ, ამ შემთხვევაში, მოსწავლეთა შემეცნებით ფუნქციას ვეხებით, ნულზე დასულ აღმზრდელობითს – არა. იგი ცალკე დიდი სამსჯელო თემაა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია განაკვეთის 18-დან 15 აკადემიურ საათამდე დაყვანა, 18 საათის ხელფასის შენარჩუნებით, რაც მასწავლებელს შემატებს 5060 ლარს, გაზრდის გაკვეთილის ხარისხს, მასწავლებელს მეტი დრო დარჩება იმუშაოს თავის თავზე, რომ აიმაღლოს კვალიფიკაცია და, რაც მთავარია, ჩაერთოს სერთიფიცირების პროგრამაში ხელფასის მომატების მიზნით.

განაკვეთის შემცირებით, დარჩენილი 3 საათით, შევძლებთ ათასობით ახალგაზრდა პედაგოგის სკოლაში დასაქმებას, აგრეთვე, მცირესაათიანი პედაგოგებისთვის განაკვეთის შევსებას (მაგალითად, თუ სკოლას ჰყავს ისტორიის 18 საათიანი 3 ან 4 პედაგოგი, 3 X 3 = 9 და 3 X 4 = 12 აკადემიური საათი კვირაში. მარტო ისტორიის 9 და 12 საათმა მოიყვანა ერთი ან ორი ახალგაზრდა მასწავლებელი სკოლაში. ასე მოხდება სხვა საგნებშიც).

90-იან წლებში, საქართველოს ძნელბედობის ჟამს, ჩვენმა ასოციაციამ, ედუარდ შევარდნაძის მთავრობასთან უკომპრომისო ბრძოლით, შეძლო განაკვეთის 35-დან 18 საათამდე დაყვანა. მაშინ მთავრობის თავმჯდომარე ბატონი **ოთარ ფაცაცია** იყო, პედაგოგის ოჯახში დაბადებული და აღზრდილი კაცი. დღეს საქართველოს მთავრობას გაცილებით უკეთესი მორალურ-ფინანსური მდგომარეობა აქვს, ვიდრე მაშინ, იმედს გამოვთქვამ, რომ განათლების სამინისტრო გულთან მიიტანს ფართო საზოგადოების მიერ მხარდაჭერილ ჩვენს ინიციატივას და ხალხისა და დროის მოთხოვნას რეალობად აქცევს.

გოჩა გურგენიძე,
არასამთავრობო ორგანიზაცია – საქართველოს პედაგოგთა უფლებების დაცვის კავშირის პრეზიდენტი.

მივესალმებით!

ოთხმოცდა ხუთი წლის პედაგოგთა, განათლების მუშაკთა გაზეთი „სახალხო განათლება+“ ფინანსური პრობლემების გამო ორი წლის მანძილზე არ გამოდიოდა. მის ოდნავ შეცვლილი ფორმით აღდგენა-დაბრუნებას კმაყოფილებით მივესალმებით და ვადასტურებთ მისადმი სრულ მხარდაჭერას. ამავეს მოვუწოდებთ საზოგადოებას, განათლების დარგის მუშაკებს.

ზურაბ ცუცქირიძე – პედაგოგიკის დოქტორი, **ზურაბ შაუთიძე, მზია გაგნიძე, პავლე მურადაშვილი, ქეთევან ხორგუაშვილი, ალეკო გაბელაია, შოთა კიკალიშვილი, გია ზენაიშვილი** – ყოფილი პედაგოგი, სკოლის დირექტორი, თბილისის საბურთალოს რაიონის განათლების განყოფილების გამგე, **იზოლდა ჯიქია** – პედაგოგი, სკოლის ყოფილი დირექტორი, ღირსებისა და გრ. ხანძთელის ორდენების კავალერი, **ჯემალ კასრაძე** – ფოტო-ჟურნალისტი, **ლალი ბერძენიშვილი** – საერთაშორისო საგანმანათლებლო ასოციაცია „ბალავარის“ პრეზიდენტი, **მედეა ბერიანიძე** – ღვაწლმოსილი პედაგოგი, **ვალტერ სიჭინავა** – აფხაზეთიდან დევნილი პედაგოგი, **ხიმურ რუხაია** – დედაუნივერსიტეტის პროფესორი, **ნანა ჯუღელი** – თბილისის 149-ე საჯარო სკოლის დირექტორი და სხვები.

„არ დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიჩამს ზიანსა...“

ლევან ჩიქვანაია ანფასში



მოგონების სათაური მისი წიგნიდან „სტალინი ანფასში“ ვისესხე. ბატონი ლევანი უდიდეს პატივს სცემდა ნიჭიერებას. როგორ ეყვარებოდა სტალინი, რომელმაც მამა ციმბირში გადაუსახლა, მაგრამ ამ გენიოსის ერუდიციას უაღრესად აფასებდა.

ვინც **ლევან ჩიქვანაიას „ნიჭის აპოლოგიას“** გულდასმით წაიკითხავს, უთუოდ იტყვის: „ამისი დამწერი დიდი პედაგოგიაო“. და განა მხოლოდ ამიტომ? ლევან ჩიქვანაია სკოლის ბრწყინვალე მასწავლებელი იყო. დიდხანს თავად მის მიერ დაარსებულ I ექსპერიმენტულ სკოლას დირექტორობდა, ასევე დიდ პედაგოგ **შალვა ამონაშვილთან** ერთად პედაგოგიურ აზროვნებაში სიახლე შემოიტანა და ახალი ერა დაამკვიდრა. მეტად ნაყოფიერი იყო დედაქალაქის განათლების სამმართველოს უფროსად მისი მუშაობის პერიოდი. ი. გოგებაშვილის სახელობის სამეცნიეროკვლევით ინსტიტუტში მეოთხედი საუკუნე იღვაწა და როგორ წუხდა, განიცდიდა, ლომივით ბრდღვინავდა, როცა ამ ინსტიტუტის თავზე საავდრო ღრუბლები მოჯარდა.

ბატონი ლევანის რეგალიებზე ამ გაზეთის წინა ნომერში ბატონი **ზურაბ ცუცქირიძე** და სხვა მეგობრები მოგვითხრობენ.

მე კი რამდენიმე შტრიხით ვიტყვი: დღესაც ცოცხლად გვახსოვს მის მიერ ოსტატურად წაყვანილი სასწავლო-შემეცნებითი პროგრამა საქართველოს ტელევიზიაში „ცხრაკლიტული“. ყველა სიახლის თავკაცი და შემოქმედი იყო ბატონი ლევანი – იუმორის დიდოსტატი, ტკბილმოუბარი, ბრწყინვალე ორატორი. მუდამ მაოცებდა მისი, გეოგრაფიის სპეციალისტის მრავალმხრივი ერუდიცია, ფილოლოგიური განსწავლულობა, ჟურნალისტური ოსტატობა. იგი ხომ დიდხანს გაზეთ „სახალხო განათლების“ სული და გული იყო. გვხიბლავდა მისი უბრალოება, მუდამ ღიმილიანისთვის უცხო იყო ოფიციალურ-ადმინისტრაციული პოზიორობა. ვერაფრით გამოვავლინეთ მეგობარ **გურამ ხანდამიშვილთან** მის ოცწლიან „საჭადრაკო შერკინებაში“ გამარჯვებული, სანამ თავად არ გამოტყდა: პირველ პარტიაში არც მე მომიგია და არც იმას წაუგიაო, მეორეში – შეცდომა არ მაპატიაო, მესამეში – ყაიმი შევთავაზე და არ მიიღოო.

დიდი ჰუმანისტი გახლდათ, ბატონი ლევანი – მუდამ მასწავლებლის დამცველი და ქომაგი. ამ ქვეყანაზე ისე არავინ უყვარდა და ეცოდებოდა, როგორც პედაგოგი. ერთ პედაგოგზე საჩივარი შემოვიდა, სუსტი მასწავლებელია და სკოლიდან გაუშვითო.

– აბა, შეისწავლეო, – გადმომაწოდა. სკოლის დირექტორმა, ცხონებულმა **აკაკი კივილაძემ** მაცნობა: ეს პედაგოგი ისეთ დღეშია, ვერ გავათავისუფლებ, მეუღლე გარდაეცვალა, ავადმყოფი შვილი ჰყავს, ხშირად პურის ფულიც არა აქვსო...

ბატონ ლევანს განვუცხადე, ამ პედაგოგზე ნეგატიური წერილის დამწერი არა ვარ-მეთქი.

დაუფიქრებლად დამეთანხმა: მასწავლებელი დღეს ყველაზე დაბალი ღობეა. მეც ვერ ვიტყვი და დავწერ ცუდს, ხელი ამიკანკალდებაო.

სიმბოლურია, რომ **ლევან ჩიქვანაია** თავისი დიდი წინაპრის **იაკობ გოგებაშვილის** გარდაცვალებიდან ზუსტად მესამე წლისთავზე წავიდა ამ სამზეოდან.

ბორის მიშველაძე

ომარ ხუხუას მოსაგონარი



მარადისობას შეუერთდა **ომარ ტრიფონის ძე ხუხუა**, დიდი პედაგოგი, მომღერალი, მეცნიერი, მწერალი, მრავალმხრივი მოღვაწე და დიდბუნებოვანი პიროვნება.

იგი დაიბადა და გაიზარდა გიორგი ჭყონდიდელისა და ამბროსი ხელაიას მშობლიურ მხარეში, მარტვილის რაიონის სოფელ კიწიაში. დამთავრებული აქვს წარჩინებით კიწიის საშუალო სკოლა, ქუთაისის პედინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. მთელი ცხოვრება პედაგოგიურ მოღვაწეობას მიუძღვნა: იყო რიგითი მასწავლებელი, სკოლის დირექტორის მოადგილე, დირექტორი, მომღერალი, ლოტბარი, კომპოზიტორი, კულტურის სახლის დირექტორი, რაიონის განათლების განყოფილების გამგე, მეცნიერი, ჟურნალისტი და მწერალი. ყველაფერი ეს ხდებოდა მშობლიური რაიონის ფარგლებში. როგორც დიდ ვაჟას, ბატონ ომარს მშობლიური კუთხიდან არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი. იყო სოფლის ბრძენკაცი, მხვნელ-მთესველი.

სიცოცხლის ბოლო დღეებში გამოსცა ათასას გვერდიანი რომანი – ტეტრალოგია **„კოლხური ზარი“**. ამ გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა მოკლე რეცენზია ამ წიგნზე, რომლის წაკითხვა ვერ მოასწრო – 80 წლის მიმკაკუნებელ **ომარ ხუხუას** მამულისთვის მფეთქავმა გულმა უღალატა. „მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია“. **ომარ ხუხუას** კი დარჩა ხუთი შვილი, მრავალი შვილიშვილი, ძვირფასი ნამოღვაწარი და დიდი მამულიშვილის სახელი.

ბატონო ომარ, მსუბუქი იყოს შენთვის კიწიის მშობლიური მიწა!

*გაზეთ **„სახალხო განათლება+“**-ის რედაქცია, მეგობრების სახელით: **ტიტე ხუხუა, ზიგფრიდ ხუხუა, ბორის მიშველაძე, ზურაბ ქობალია, პაატა ცხადაია** და სხვები.*

„წარსულისადმი ნდობა, პატივი...“

უჩემოდ, წამო!

ჩვენი ფოტოკორესპონდენტის **გენადი სანაიას** ამ სურათზე, რომელიც 2008 წლის 17 დეკემბერს არის გადაღებული, თქვენ ხედავთ გაზეთ „სახალხო განათლების“ 80 წლის საიუბილეო ვითარებიდან ერთ ფრაგმენტს. რედაქციის ახალი და ძველი თანამშრომლები (მარცხნიდან მარჯვნივ): **მირიან ჯალაღონია** (ძველი საკკორი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, დამს. პედაგოგი, მწერალი), **ნათელა თოდუა-წულეისკირი** (ბუღალტერი), **ნინო შერაზადიშვილი** (პასუხისმგებელი მდივანი), **ეკა მამუკაშვილი** (სტილისტ-კორექტორი), **ნათელა ქიმერიძე** (რედაქტორი), **ლევან ჩიქვანაია** (სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, გასული საუკუნის 60-იან წლებში ამ გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი), **გურამ ხანდამიშვილი** (დამსახურებული ჟურნალისტი), **ბორის მიშველაძე** (რედაქტორის მოადგილე), **ნაპოლეონ ლემონჯავა** (ძველი საკკორი, პროფესორი, მწერალი) საზეიმო განწყობილებას მოუცავს.

გაზეთ „სახალხო განათლების“, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის ინსტიტუტის, გამომცემლობა „ზენაარის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ გაზეთის მენეჯერსა და რედკოლეგიის თავმჯდომარეს **ზურაბ ქობალიას** დედის **ნათელა აბშილავა-ქობალიას** გარდაცვალების გამო.

ნომრის რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+
№3 (4500)
29 ოქტომბერი, 2014 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რ ე დ კ ო ლ ე გ ი ა

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07

ISSN 1987-9113
9 771987 911009